დასაკავებლად. სენ-დენი ჩამონათვალშია იმ დასახლებული პუნქტებისა, რომლებსაც საფრანგეთში უწოდებენ „ზონებს ხელისუფლების ბარაჟი“ (zones sans-droit). ასეთი ტერიტორია კი ქვეყანაში დაახლოებით 30-ია. პოლიცია, სასწრაფო სამედიცინო დახმარების წევრები, მეხანძრეები და მამაკაცი (ცდილობენ, შეძლებისდაგვარად, თავი შეიკავონ ამ ადგილებში გამოჩენისგან, რადგან, შესაძლოა, ადგილობრივი კრიმინალური დაჯგუფებების მსხვერპლი აღმოჩნდნენ. ამას, ბელგიაში შექმნილი ვითარების მსგავსად, აქვს „ისტორიული“ ფესვები. გასული საუკუნის 60-70-იან წლებში საფრანგეთის დედაქალაქის გარეუბნებში აქტიურად აშენებდნენ ე.წ. იაფ საცხოვრებლებს. პარიზის შემოგარენში მდებარე ამ სახლებში დასახლდნენ ალჟირელები, მაროკოელები და საფრანგეთის ყოფილი კოლონიებიდან წამოსულნი. 1980-იანი წლების დასაწყისში ამ რეგიონებში მცხოვრებთა უმრავლესობა სამუშაო ძალად გამოიყენეს, მაგრამ ეკონომიკური კრიზისის შემდგომ მათი 40 პროცენტი უმუშევარი დარჩა. შედეგად, ბევრმა მათგანმა შეეფარა დანაშაულებრივი დაჯგუფებები, რომლებმაც თუმცა არალეგალური, მაგრამ მაინც — სამუშაო შესთავაზეს.

ის, რასაც ევროპელები საუკუნეების განმავლობაში ხელმეუხეხებულ ფასეულობად მიიჩნევდნენ, მიუღებელი აღმოჩნდა ახალი ევროპელებისთვის — ახლო აღმოსავლელი და აფრიკელი მიგრანტებისთვის, რომლებიც ბოლო ათწლეულის განმავლობაში დასახლდნენ დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, ბელგიაში, ნორვეგიაში და სხვა ქვეყნებში, სადაც ისინი იაფ მუშახელად მიიწვიეს და იმედად იყვნენ, რომ ადგილობრივ მოსახლეობას შეერწყმოდნენ და ნამდვილ ევროპელებად იქცეოდნენ, მაგრამ დასახულ მიზნებს ვერ მიაღწევდნენ.

დიდმა ბრიტანეთმა და გერმანიამ ფსონი მულტიკულტურულ რიზზე დადეს — სხვადასხვა ეთნოსისა და რელიგიის კომფორტულ თანაარსებობაზე; საფრანგეთს კი განზრახული ჰქონდა, მიგრანტები ადგილობრივ მოსახლეობაში აეთქვეფა, თავისი კულტურული ფასეულობები მოეხვია თავს მათთვის. შედეგად სოციალური და დაძაბულობა დუბლინის წერტილს მიალენა: გაღიზიანებულია ის, ვინც ევროპაში ცხოვრობდა და ისიც, ვინც ჩავიდა.

მიგრანტებს ფუნდამენტალისტები. იმატებს ტერორიზმის საფრთხე.

რატომ იზიდავს ტერორისტებს ევროპის ქვეყნების დედაქალაქები

მოლანაპი და სპარაკე-კი ბრიუსელთან, სან-დენი პარიზის შემოგარენში, ნოი-კელნი ბერლინში, რინკე-ბიუ და ჰუსბიუ სტოკჰოლმში — ეს ის რაიონებია, რომლებშიც, ძირითადად, ცხოვრობენ მიგრანტები, გამეფებულია კრიმინალი და სიღარიბე. ლონდონში კი 33 რაიონიდან 10-ში, მათ შორის, ცენტრში, მოსახლეობის ნახევარზე მეტი მიგრანტია.

ულის ჩასადენად მოღვნიტეკში ემზადებოდნენ. სწორედ აქ იმალეოდა მთავარი ექვმიტანილი **სალაზ აბდისალა-მი**, მაგრამ მისი დაპატიმრების შემდეგ **თაჰი „გამორჩენა“ ბელგის დედაქალაქის მუორა რაიონში — სპარაკემა. სწორედ იმ ცხოვრობდნენ ისლამისტი რადიკალები, რომლებმაც მატროპოლიტანი და პაროპორტი ააფეთქეს პარიზში, სადაც ბანდუბაჟულია ნატოს შტაბ-ბინა და ევროპარლამენტის შენობა(1).**

2,9 მლნ იმიგრანტი, ძირითადად, **ინდოელები** — 15-16%, **კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებიდან და აფრიკიდან ჩამოსული შავკანიანები** — 13%; **ირლანდიელები** — 7%; **ბანგლადეშელები** და **პაკისტანელები** — 5-6%; **ჩინელები** — 2%; **არაბები, პოლონელები, ვიეტნამელები** და **სხვები**, ჯამში — 33%; **ჩინელები** — 2%; უმეტესობას აქვს ბრიტანეთის მოქალაქეობა.

ზონები ხელისუფლების ბარაჟი


პარიზისადმი მიძღვნილ ნებისმიერ გზამკვლევაში შეგიძლიათ ნაიკითხოთ, რომ დედაქალაქის გარეუბან სენ-დენიში არის საფრანგეთის ერთ-ერთი ისტორიული სინდინდე — პირველი გოთიკური ტაძარი ევროპაში, სადაც XIII საუკუნიდან კრძალავდნენ საფრანგეთის მეფეებს. სწორედ აქ, სენ-დენიში, ჩაატარეს ფრანგმა პოლიციელებმა სპეცოპერაცია 2015 წლის 13 ნოემბრის ტერორისტული აქტის მოწყობაში ექვმიტანილთა

* „ჩვენ ძალიან ვღელავდით საფრანგეთში ჩამოსული ადამიანების იდენტობაზე და საკმარის ყურადღებას არ ვაქცევდით იდენტობას ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისა, რომელმაც მიიღო ისინი. რა თქმა უნდა, პატივი უნდა ვცეთ განსხვავებას, მაგრამ ჩვენ არ გვინდა საზოგადოება, რომელშიც გვერდიგვერდ იცხოვრებენ ცალკეული თემები“, — განაცხადა საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი **ნიკოლა სარკოზიმ**. ის, რაც არ სურდა საფრანგეთის ექსპრეზიდენტს, ახლა რეალობაა მილიონობით ფრანგისთვის. **პანონები, რომლებიც საზოგადოების მოთხოვნით მიიღეს, არ მუშაობს. მახალითა, კანონმა საზოგადოებრივი თავშესაფრის ადგილებში ჰიჯაბის ტარების აპრეციალური შესახებ გამორიცხა. მისი მიზანია ანკლავების, რომლის მოსახლეობის უმრავლესობა არც კი ფიქრობს მკვიდრ მოსახლეობასთან ურთიერთობას, ფაქტობრივად, შეიქმნა სახელმწიფოებრივი სახელმწიფოების საჭიროება კი არ არსებობს — სოციალური დახმარების ისეთი სისტემა შეიქმნა, რომელიც მუშაობს სურვილი არააქვს ამის.**

ერთიანი ევროპის დედაქალაქის — ბრიუსელის — კომუნა მოღვნიტეკმა სახელი გაითქვა 2015 წლის ნოემბერში პარიზში მოწვეული ტერაქტების შემდეგ. გამომძიებლები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ტერორისტები, რომლებმაც მოაწყვეს ტერაქტები საფრანგეთის დედაქალაქში, დანაშაუ-

* „1960-იანი წლების დასაწყისში ჩვენმა ქვეყანამ მუშახელად უცხოელები მოიწვია. გარკვეული დროის განმავლობაში თავს ვიტყუებდით და ვამბობდით: ისინი ჩვენთან არ დარჩებიან, ოდესმე წავლენ, მაგრამ ასე არ მოხდა. რა თქმა უნდა, ჩვენი მიდგომა გამომდინარეობდა მულტიკულტურული იდეიდან, რომ გვერდიგვერდ ვიცხოვრებდით და ერთმანეთს დაეფასებდით. ეს მიდგომა სრულიად ჩაფლავდა“, — აღიარა გერმანიის კანცლერმა **ანგელა მერკელმა**.

* „ჩვენ ვერ შევქმენით ისეთი საზოგადოება, რომელშიც ცხოვრებასაც მოსურვებდნენ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები. ისინი თავს არ მიიჩნევენ ამ საზოგადოების ნაწილად. ამასთანავე, ჩვენ იმის უფლებას ვაძლევთ ამ მონოკულტურულ ჯგუფებს, რაც ეწინააღმდეგება ევროპულ ფასეულობებს. როდესაც თეთრი ადამიანი გამოთქვამს დისკრიმინაციულ, რასისტულ თვალსაზრისს, ჩვენ სამართლიანად ვეცხვებით მას, მაგრამ, როცა ამას სხვა ფერის კანის მქონე ადამიანები აკეთებენ, ძალიან ვფრთხილობთ, მეტიც — გვეშინია, საჯაროდ გამოვიყენოთ მათ წინააღმდეგ“, — განაცხადა 2015 წელს დიდი ბრიტანეთის იმჟამინდელი პრემიერმინისტრმა **დევიდ კამერონმა**.



გარემანის ერთ-ერთი ძალაქი
მაგრამ ეს სქემა ზოგჯერ არ მუშაობდა, მაგალითად, 2005 წელს პოლიციელების მცდელობა, დაეპატიმრებინათ ორი არასრულწლოვანი ნარკომოვაჭრე, სოციალური მღვლეარება გამოიწვია. საფრანგეთის დედაქალაქის თანამგზავრ ქალაქებში იფეთქა არეულობებმა. ამბოხებულები წვავდნენ მანქანებს, ძარცვავდნენ მაღაზიებს, ბანკომატებს. ვითარება კიდევ უფრო გამწვავდა საფრანგეთის ის იმჟამინდელი მინისტრისა და ქვეყნის მომავალი პრეზიდენტის — **ნიკოლა სარკოზის** მწვავე განცხადებებმა, როდესაც ამბოხებულებს საზოგადოების ნარჩენები უწოდა. ორი წლის შემდეგ კვლავ მოხდა შეტაკება ახალგაზრდებსა და პოლიციელებს შორის. აღსანიშნავია, რომ, თუ ამბოხებულები 2005 წელს მოლოტოვის კოქტეილებს უშენდნენ სამართალდამცველებს, ამჯერად ცეცხლსასრო-

გეოგრაფიკული მსოფლიო
კვანძი



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ნებისმიერ არს გაუჭირდება არსებობა, თუ ოჯახში ბავშვის ყოლის კოეფიციენტი 1,9-ია, ხოლო 1,3 კოეფიციენტის შემთხვევაში, ერი შეწყვეტს არსებობას... 2011 წელს საფრანგეთში შობადობის კოეფიციენტი იყო 1,8; ბრიტანეთში — 1,8; გერმანიაში — 1,3; საბერძნეთში — 1,3; იტალიაში — 1,2; ესპანეთში — 1,1. ევროკავშირის ქვეყნებში ამჟამად შობადობის კოეფიციენტი, საშუალოდ, 1,38-ია. სწორედ ამის გამო ამჟამად სპეციალისტები, რომ უკან დასაბრუნებელი გზა აღარ არსებობს და მალე ევროპა ისეთი, როგორც იყო, აღარ იარსებებს.

ლი იარაღი გამოიყენეს. შედეგად დაიჭრა რამდენიმე პოლიციელი. და, მიუხედავად იმისა, რომ დააპატიმრეს არეულობის რამდენიმე მონაწილე, მასობრივი გამოსვლების ორგანიზატორები და კოორდინატორები ხელშეუხებელი დარჩნენ, „ზონები“ კი ნახევრად იატაკქვეშეთში განაგრძობდნენ არსებობას საფრანგეთის სახელმწიფოს პარალელურად.

2015 წლის ნოემბრის ტერაქტების შემდეგ საფრანგეთის პოლიცია პერიოდულად ატარებს რეიდებს მიგრანტებით დასახლებულ ზონებში, მაგრამ ადგილობრივების თქმით, ეს უფრო საჩვენებელი აქციაა, რომელიც არჩევნების წინ ტარდება ხოლმე.

„პატარა მოგადიშო“, „არაბული საამიროები“ და „პატარა აზრიკა“

„ზონები ხელისუფლების გარეშე“ არის ევროპის ქვეყნების, პრაქტიკულად ყველა დედაქალაქში. სტოკჰოლმში ეს არის „პატარა მოგადიშო“ (მოგადიშო — სომალის დედაქალაქი) — ასე ეძახიან შედეგების დედაქალაქის მცხოვრებნი გარეუბან რიკენბიუს. ოფიციალური მონაცემებით, იქ მოსახლეობის 90 პროცენტი მიგრანტებისგან შედგება. არაოფიციალური სახელწოდება კი რიკენბიუს მალეღა დიასპორის გამო მიიღო. დარბევა, ხანძარი, პოლიციელებთან შეტაკება იქ ჩვეულებრივი ამბავია.

დანის დედაქალაქ კოპენჰაგენში ცუდი რეპუტაციით სარგებლობს ტინბერიანის რაიონი. ეთნიკური დანიელები პირველივე შესაძლებლობისთანავე ტოვებენ ამ რაიონს, რომელიც, ფაქტობრივად, იმიგრანტების დასახლებად იქცა, სადაც სალაფიტმა მუსლიმებმა შარიათის კანონებიც კი ამოქმედეს. თავისი „უხელისუფლებო ზონა“ აქვს, რა თქმა უნდა, ბერლინსაც.

ნოიკელნი ყველაზე არასასურველ და კრიმინალურ რაიონად ითვლება გერმანიის დედაქალაქში. ამ კვარტალს „ჩამოსულთა გატოს“ ეძახიან. ნოიკელნის მოსახლეობის 25% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს, მაგრამ ბევრი არც ეძებს სამუშაოს, რადგან სოციალურ დახმარე-

ბას იღებს და არც დანაშაულის ჩადენაზე ამბობს უარს. მიუხედავად იმისა, რომ ნოიკელნიში მცხოვრებთა რაოდენობა ბერლინის მოსახლეობის 10%-ზე ნაკლებია, გერმანიის დედაქალაქში ჩადენილი დანაშაულის 20 პროცენტი სწორედ ნოიკელნელებზე მოდის.

პარიზის ცალკეულ რაიონებში იმიგრანტთა რაოდენობა 50%-ს აღწევს, ქალაქის გარეუბნები კი მეორე გერმანიის ნებისმიერ რაიონზე უფრო მაღალი იქცა თავისი კანონებით.

ამჟამად საფრანგეთში იმიგრანტების რაოდენობა, ოფიციალური მონაცემებით, მოსახლეობის 20%-ს შეადგენს, არაოფიციალური მონაცემებით — 40%-ს. პარიზის რაიონ გუტ დ'ორს, „პატარა აზრიკას“ ეძახიან, იქ ყოველი მეორე მცხოვრები ალჟირელი, სენეგალელი ან კონგოელია. ამ რაიონში საღამოს სტიქიურად ჩნდება ბავშობები — ყიდიან მოპარულ ნივთებს. **ფონტენ-ნ-რუსა** და **ლა შაპელი** მოსახლეობის მესამედი იმიგრანტია. პარიზის 5 სხვა რაიონში კი ვადმოსახლებულები პარიზელთა საერთო რაოდენობის მეოთხედს შეადგენენ.

პარიზის მე-13 ოლქში ცხოვრობენ ჩინელები, აღმოსავლეთის რკინიგზის სადგურთან — პაკისტანელები, თურქები და ბანგლადეშელები. ქალაქ მარსელში კი, სადაც 800 ათასი კაცი ცხოვრობს, მოსახლეობის ნახევარი ჩრდილოეთ აფრიკელი იმიგრანტია.

„ფრანგების იმედი, რომ იმიგრანტები ასიმილირდებოდნენ, ფერფლად იქცა, — ამბობს ფრანგი ჟურნალისტი რობერ დელიუ, — რა სკანდალი აგორდა, როდესაც ფრანგმა აკრძალეს?! — მიტინგები, ჩხუბი პოლიციასთან, მშობლებმა სკოლებიდან შვილები გაიყვანეს და შინ ასწავლიან. სპეციალისტთა გათვლებით, 2030 წელს საფრანგეთში მოსახლეობის 25% მუსლიმანი იქნება, 40% — უცხოელი. ფრანგების შობადობის მაჩვენებელი კატასტროფულად დაეცა, გასტარბაიტერებისა კი იმატებს. დიდი ქალაქები — პარიზი, მარსელი, ლიონი — გარშემორტყმულია ეთნიკური გეტოებით, სადაც მთავარი ავტორიტეტები მეჩეთების იმამები არიან. 2012 წელს ისლამისტიმა



«სპეციალისტთა გათვლებით, 2030 წელს საფრანგეთში მოსახლეობის 25% მუსლიმანი იქნება, 40% — უცხოელი. ფრანგების შობადობის მაჩვენებელი კატასტროფულად დაეცა, გასტარბაიტერებისა კი იმატებს. დიდი ქალაქები — პარიზი, მარსელი, ლიონი — გარშემორტყმულია ეთნიკური გეტოებით, სადაც მთავარი ავტორიტეტები მეჩეთების იმამები არიან. 2012 წელს ისლამისტიმა მუსლიმანი იქნება, 40% — უცხოელი. ფრანგების შობადობის მაჩვენებელი კატასტროფულად დაეცა, გასტარბაიტერებისა კი იმატებს. დიდი ქალაქები — პარიზი, მარსელი, ლიონი — გარშემორტყმულია ეთნიკური გეტოებით, სადაც მთავარი ავტორიტეტები მეჩეთების იმამები არიან. 2012 წელს ისლამისტიმა

მუსლიმანი იქნება, 40% — უცხოელი. ფრანგების შობადობის მაჩვენებელი კატასტროფულად დაეცა, გასტარბაიტერებისა კი იმატებს. დიდი ქალაქები — პარიზი, მარსელი, ლიონი — გარშემორტყმულია ეთნიკური გეტოებით, სადაც მთავარი ავტორიტეტები მეჩეთების იმამები არიან. 2012 წელს ისლამისტიმა

ნური ქვეყნებიდან. საფრანგეთში, სადაც ბავშვების რაოდენობა ქრისტიანულ ოჯახებში, საშუალოდ, 1,8-ია, ეს მაჩვენებელი ისლამურ ოჯახებში 8,1-ს შეადგენს.

საფრანგეთის სამხრეთში, ისტორიულად მსოფლიოს ერთ-ერთ მჭიდროდ დასახლებულ ქრისტიანულ რაიონში, დღეს გაცილებით მეტი მიგრანტი, ვიდრე ეკლესია. საფრანგეთის დიდ ქალაქებში: ნიცაში, პარიზში, მარსელში 20 წლამდე ადამიანების 45% მუსლიმია. თუ ეს ტენდენცია შენარჩუნდება, 35-40 წლის შემდეგ საფრანგეთში მუსლიმანურ სახელმწიფოდ იქცევა.

ანალოგიური ვითარებაა დიდ ბრიტანეთშიც, სადაც ბოლო წლებში მუსლიმანების რაოდენობამ 36-ჯერ მოიმატა (!) და 80 ათასიდან 3 მლნ-ს მიაღწია. დღეს ამ ქვეყანაში 1000-ზე მეტი მეჩეთია, ბევრი მათგანი უნინ ეკლესია იყო.

ჰოლანდიაში ახალშობილთა 50% მუსლიმანია და 10-12 წლის შემდეგ ჰოლანდიის მოსახლეობის ნახევარი მუსლიმი იქნება.

გელბინაში ახალშობილთა 50% და მოსახლეობის 25% მუსლიმანია.

გერმანელი მეცნიერები განგაშის ზარებს არისებენ, რომ 2050 წელს ქვეყანაში უპირატესი რელიგია ისლამი იქნება.

ლიბიის ან გარდაცვლილმა პრეზიდენტმა მუამარ კადაფიმ თავის დროზე განაცხადა: „როგორც ჩანს, ალპინ მუსლიმებს უმასხვილოდ, უიარაღოდ, ანუშეხს ბაზარზე დასაბრუნებელი იქნება.“

ჩვენ არ ვგულისხმობთ ტერორისტებს, თვითმკვლელებს. სულ რაღაც, 20 წელიწადში მილიონობით მუსლიმი ევროპას მუსლიმანურ კონტინენტად აქცევს.“

306 შის


ძალიან ფრთხილი გათვლებით, დასავლეთ ევროპაში ამჟამად ცხოვრობს 24 მლნ მუსლიმანი (ევროკავშირის მოსახლეობა დაახლოებით 600 მლნ-ია), მაგრამ, ექსპერტთა აზრით, ეს რიცხვი რეალურად არ ასახავს და ევროპაში მუსლიმური ქვეყნებიდან წამოსული ადამიანები გაცილებით მეტი ცხოვრობს.

საკითხი დგას ასე: **შეიქმნება ევროპული მუსლიმების ინტეგრირება და აიჭრება მათ, ევროპული მუსლიმები იცხოვრობენ თუ თვითონ ევროპელები ასიმილირდებიან ჩამოსულთაზე?** ექსპერტთა აზრით, ბოლო სტენარო უფრო რეალურია, მით უფრო, რომ ბოლო წლებში, მაგალითად, **ფინეთში** ლტოლვილთა რაოდენობამ 50%-ით მოიმატა, **გერმანიაში** 2015 წელს უკვე მიიღო 1,1 მლნ ლტოლვილი და, ალბათ, კიდევ მიიღებს. 10-მილიონიანი **შვედეთში** 163 ათასი ლტოლვილი ჩავიდა.

სუცხოურ პრესაში გამოქვეყნებული მასალები მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთოვა

P.S. „საქართველოს აქვს მიზიდულობა, მაგრამ ეს გვანწყობს ჩვენ თუ არა... რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ ავუკრძალავთ ჩამოსვლას, მაგრამ სტუმარმა თავისი ადგილი უნდა იცოდეს და მასპინძელმა — თავისი“, — განაცხადა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ 28 სექტემბერს სამების ტაძარში ერის გამთლიანებისთვის აღვლენილი ლოცვისას.

P.P.S. „პარიზის ლეთისმშობლის მეჩეთი“ — ეს არის სათაური რუსი მწერლის ელენე ჩუდინოვას რომანისა, რომელშიც მოვლენები ვითარდება 2048 წლის პარიზში, სადაც ხელისუფლება ხელში ჩაიგდეს იმიგრანტებმა.



მასვილი საჭირო აღარ არის

ამასთანავე, ევროპის მოსახლეობა არ მცირდება, მაგრამ ეს ხდება იმიგრაციის ხარჯზე, ძირითადად, მუსლიმი-



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ჩვენი პატრიოტობა სხვა თვისებისაა, სხვა გვარის ხასიათისაა: იგი იწყობს მხოლოდ წმინდა გრძობას მამულის სიყვარულისას. ამ გრძობაში თავისთავის მითი არა ურევია. ვისივე სიძულვილი, ვისივე დათრგუნვის სურვილი, ვისივე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ იპოვება. ჩვენი პატრიოტობა სურთ ალდგენა და დაცვა ჩვენი უფლებებისა, ეროვნებისა, თვითმმართველობისა, ლიტერატურისა, კულტურისა, რომელთა გარეშე არა ხალხს არ შეუძლიან სიცოცხლე და ადამიანური არსებობა. ჩვენი მამულიშვილები ნატრულობენ ჩვენის ქვეყნის ბედნიერების მიღწევას წმინდა და სწორი გზით, იმ გზით, რომელიც სხვის უბედურებაზე არ არის გაველებული“.

ვის სხალია საპატრიოტოდ ან სადილაგდა, ან ნასადილავს?!

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით „მამათა და შვილთა“ შორის ბრძოლის გამწვანების პერიოდში, ქართულ პრესაში ხშირად კამათობდნენ იმის თაობაზე, თუ ვინ ჩაითვლება ნამდვილ მამულიშვილად. იაკობ გოგებაშვილი სამართლიანად მიუთითებდა, რომ ქვეშარიტი ქართველი მამულიშვილები „მოღვაწეობენ არა იმ განზრახვით, რომ სხვანი დავეთვინონ და მათი დამცირებით ჩვენი თავი ავამაღლოთ“ (დღევანდელი პოლიტიკოსები კი ამაში სათაკილოს ვერაფერს ხედავენ — რედ.) ან ძველ, დრომოქმულ „დაწყობილობათა რესტავრაცია“ მოვახდინოთ, არა. მათ „სურთ არა მკვდრის აღდგენა, არამედ ცოცხლის გამოყვანა ჭაობიდან“.

„ნამდვილ პატრიოტად ჩაითვლება, — ამბობს ი. გოგებაშვილი, — ის, ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუზნია მშობლიურის ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის დაულაღავად ყოველ დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლოს ქვეყანას წარმატების გზაზე დაადგობს“ (ტ. I, გვ. 371). ასეთი პატრიოტები, ავტორის რწმენით, იყვნენ რუსი რევოლუციონერი დემოკრატები და ქვეშარიტი ქართველი მამულიშვილები — ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი. იაკობ გოგებაშვილმა ამავე წერილში დაახასიათა დამყაყუბელი ავციონალიზმი და ჯანსაღი პატრიოტიზმი, განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ქართველ და რუს სამოციანელთა ეროვნული კონცეფციების მსგავსებას. „ბევრგან ვხედავთ პატრიოტებსა, რომელთაც უნდათ სხვის უბედურებაზე დააშენონ თავიანთი ქვეყნის ბედნიერება. პრუსიის პატრიოტს ტრეიჩკეს რომ ჰკითხო, რასა სთვლი საჭიროდ გერმანიის ბედნიერებისთვის, გიპასუხებს: დასავლეთით საფრანგეთის მიწასთან გასწორებას, სამხრეთით ავსტრიის წელში მოკაკვას და აღმოსავლეთით

რუსეთის მიმსხვრევასაო. მეშჩერსკის, სუვორინს და კატკოვს რომ შეეკითხო, როგორ უნდა იყოს რუსის პატრიოტი, გიპასუხებენ: იგი უნდა სწავრავდეს ყოველ სხვა ტომს, რუსეთთან შემოერთებულსა, და გარედ უნდა ელტოდეს და ნატრულობდეს მთელს ევროპის გაქვლვასაო. ჩინეთის პატრიოტები უფრო კიდევ მომეტებულს რასმე ნატრულობენ: მთელი კაცობრიობა ჩვენის ბაღდისხანის ქვეშევრდომი, უმორჩილესი მონა უნდა შეიქმნასო. ჩვენში პატრიოტობა სხვა თვისებისაა, სხვა გვარის ხასიათისაა: იგი იწყობს მხოლოდ წმინდა გრძობას მამულის სიყვარულისას. ამ გრძობაში თავისთავის მითი არა ურევია-რა. ვისივე სიძულვილი, ვისივე დათრგუნვის სურვილი, ვისივე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ იპოვება. ჩვენს პატრიოტებს სურთ ალდგენა და დაცვა ჩვენი უფლებებისა, ეროვნებისა, თვითმმართველობისა, ლიტერატურისა, კულტურისა, რომელთა გარეშე არა ხალხს არ შეუძლიან სიცოცხლე და ადამიანური არსებობა. ჩვენი მამულიშვილები ნატრულობენ ჩვენის ქვეყნის ბედნიერების მიღწე-



იაკობ გოგებაშვილი:

ცირებით ჩვენი თავი აპი-გაღვლით, არამედ იმი-სათვის, რომ ჩვენს ერსაც გაუპოვლოთ ფართო გზა გონების განვითარებისა, ზნეობის ამაღლებისა და კეთილდღეობისაო. ერთი სიტყვით, ჩვენში მამულის სიყვარულმა მიიღო ისეთივე წმინდა მიმართულება, რომელსაც ამ ბოლოს ჟამს დააგა დანაშაულებული, საუკეთესო ნილი ევროპის დემოკრატისა. წარსულში ჩვენ გვექონდა ამაზე უფრო ფართო ეროვნული ნიადაგი; მაგრამ ამ ნიადაგზე წმინდა პურთან ხშირად ითესებოდა აზიური ღვარძლი და ჭვავი. ამის გამო წარსულიდან უნდა გადმოვიტანოთ ეროვნული ნიადაგი და ევროპის ნაწარმოებში ავარჩიოთ სათესავი წმინდა პური გონების, ზნეობის და ეკონომიურის სფეროებში... (რჩეული თხზულებანი, ტ. 1, თბ. 1989, გვ. 235-236).
ახლა კი ილიას მოვუსმინოთ: „ნუთუ მართლა გამოკეთების ძალნი თვითვე არა აქვს იმ საზოგადოებას, რომელიც ჰპადავს, ჰზრდის და წამოაყენებს ხოლმე მტკიცე ხასიათების კაცებს, გმირებს?!“... იგი

«ნამდვილ პატრიოტად ჩაითვლება ის, ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუზნია მშობლიურის ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის დაულაღავად ყოველ დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლოს ქვეყანას წარმატების გზაზე დაადგობს»



ვას წმინდა და სწორი გზით, იმ გზით, რომელიც სხვის უბედურებაზე არ არის გაველებული. როგორც წარსულში ჩვენი ერი იბრძოდა არა სხვა ხალხების დამორყევისათვის, არამედ თავის საკუთარს და მოსახლეობის დაცვისათვის, ისა ეხლა ჩვენი მამულიშვილები მოღვაწეობენ არა იმ განზრახვით, რომ სხვანი დავეთვინონ და მათი დამცირებით ჩვენი თავი ავამაღლოთ“.

იხსენებს უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლ ისტორიულ გმირთა სახელებს და დაასკვნის: „ამისთანა კაცების აღმზრდელი და სულისჩამდგმელი ძალი დიდი ძალია და ამ ძალის მექონს საზოგადოებას ვერ ეთქმის, რომ ფესვი ცხოვრებისა შეუსუსტებია“.

ილია ჭავჭავაძე:

«ქლირიანი ერი, რას უნდა პატარა იყოს, როცა მამულიშვილობა, თავის ქვეყნის სიყვარული ასე ახსნავეს, ასე აპოქაფადას, როცა უბედურება რამ, განსაცდელი რამ გულზე ხელს კი არ აკრფენებს, როგორც იმედ გადანყვებილს, სასოება დაკარგულს, არამედ იმოდენად აღვიძებს, ძლიერ მისძრავ-მოსძრავს, რამდენადაც ძლიერია თვით მის თავზე მოსული უბედურება და განსაცდელი».

რი დაიბადება მხოლოდ ხალხის წიაღში. მისი ბედი ხალხის ბედ-ილბალთან იქნება გადაჯაჭვული და უკვდავებას ეზიარება:

წმინდა იგი, ვისაც ელირსა მამულისათვის თავის დადება!...
ნეტა ამ ვაჟკაცს, ნეტა იმ გმირსა, ის თავის ხალხში აღარ მოჰკვდება.
მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა, შორს საუკუნეთ ეტყვის მის სახელს.

თუ ერის მეხსიერებაში გმირები არ შემორჩნენ, ე. ი., მოკვდა ერის გონება, რომელმაც დაიფინა იხილი და დავიწყების სიცარიელე ამოავსო წარმავალი, ფუჭი ლირებულეებით. „ჯავაითაღვსილა“ მეხსიერება, აქედან გამომდინარე, ერი ვეღარ „მიემსგავსება“ წინაპრს („ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს“ („დავით აღმაშენებელი“), „არ ვიცით, რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ — რანი ვართ, ვერ გამოგვისახია — რანი ვიქვებით! ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალზე ხელი ავკიფარებთა. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის“ („რა გითხრათ? რით გაგახართ?“), წარსულსა და აწმყოს შორის განწყვეტილია კავშირი, რაც ერისთვის თვითმკვლელობას უდრის. „რაღა დაბადავს თქვენში დიდს გრძობას?“ — კითხულობს ილია, როცა ქვეყანა ავსებულა უსამართლობით, განუკითხაობით, ურწმუნოებით, გამქრალია ქართველი ერის სიყვარის განმამპირობებელი „ჯვარცმული ღმერთის“ რწმენა.

„ძლიერია ერი, რაც უნდა პატარა იყოს, — წერს ილია ჭავჭავაძე, — როცა მამულიშვილობა, თავის ქვეყნის სიყვარული ასე ახსნევენს, ასე ამოქმედებს, როცა უბედურება რამ, განსაცდელი რამ გულზე ხელს კი არ აკრფენებს, როგორც იმედ გადანყვებილს, სასოება დაკარგულს, არამედ იმოდენად აღვიძებს, ძლიერ მისძრავ-მოსძრავს, რამდენადაც ძლიერია თვით მის თავზე მოსული უბედურება და განსაცდელი“.

ეროვნული ოპტიზმის სულით არის გამსჭვალული აკაკი წერეთლის შემდეგი სიტყვებიც: „ისტორიულმა სწოლებლობამ დაგვიმტკიცა, რომ ეს პატარა საქართველო ყოველგვარ განსაცდელსა და გასაჭირს გაუძლებს! და მართლაც, ის ერი, რომელმაც წარმოშვა: რუსთაველი, მთაწმინდელები, გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარ ფეი, გიორგი სააკაძე და მათი მსგავსნი, განა სასიკვდილოა? არ გასულა საუკუნე, რომ ნიშანი სასიცოცხლო არ მოეცეს ჩვენთვის ცხოვრებას“.

ქართველ სამოციანელთა მსოფლმხედველობა ეროვნულ-ისტორიულ ნიადაგზე აღმოცენდა, მისი მასაზრდოელები ფესვები ღრმად იყო გადგმული საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართველ მოღვაწეთა ამ შესანიშნავი თაობის პირველი რევოლუციური ნათლობა მოხდა პეტერბურგში, სადაც ისინი უმაღლესი ცოდნის მისაღებად იყვნენ წას-



1829 წლის სამშვიდობო ხელშეკრულებით რუსეთმა თურქეთს წაართვა უკვე აღსანიშნავი ქართული ძალაქები ფოთი, ახალციხე და ახალქალაქი, ასევე ათი რაიონი სამცხე-საათაბაგოში — ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის, აწყურის, ხერთვისის, ძვალბაღის, აბასთუმნის, ჩაჩარანის, ფოცხოვის და ჩალდირის. ეს მხოლოდ მცირე ნაწილი იყო იმ უზარმაზარი ქართული ტერიტორიისა, რომელიც თურქეთმა მიიღო XVI საუკუნეში.

ულნი. სწორედ ამიტომ შეარქვეს მათ ძველი თაობის წარმომადგენლებმა დაცივებით თერგდალეულები, რამაც შემდგომ სულ სხვა, დადებითი, ისტორიული მინაარსი მიიღო.

დღეს საქართველოში წინასწარჩინებული კამპანია ბაჩალიაშვილი, ტალეა-თიანიდან თუ ქუჩაშვილი მომრავლებული ბანაკებიდან უტიფრად იღიმიან და ცრუ დაპირებებით ხალხს „დაპოლავს“ კვლავ ცდილობენ განდობიანების მანიერით შეაყრდინონ პოლიტიკოსები, რომლებსაც ჰომონიმით, რომ საქართველო მხოლოდ მათია: უნდათ — გრანტაზუა გაყიდონ, უნდათ — სარფიან ბარიბაგაში გაცვილიან. ასეთია მათი „სამშობლოს გრძობა ბასაქირველი“, „ცვრიან ბალახზე ფხვნილი“ ბავლის ბარძი.

რადგან მინაზე ფეხს არ აბიჯებენ და ძვირად ღირებული ჯიპებით დაჰქრიან, მამული-საღმრთო მონივნებასაც და სიყვარულსაც მათი საბურთავებით თავისებურად აღიქვამენ; დაახლოებით ისე, როგორც აკაკის „პატრიოტის აღსარებაში“. ნაიკითხეთ და თავად განსაჯეთ:

„ვინ სთქვა, რომ მე, პატრიოტი არ ვარ? მიუქრავს!.. ეტყობა, ან სადღიობის მოთრეულა ჩემთან და ან ნა-სადილევს მოხეტეულა... უფროდ უფლია!.. აბა, თქვენი ჭრიში, სადილობის, როცა მუცელი ცარიელია, ვისა სცალიან საპატრიოტოდ და ან ნასადილევს, კუჭდამიძებულზე, არა და დროს პატრიოტობა?!

არა... იმ დროს მობრძანდეს, როდესაც მე, მამა-პაპურად ფეხმორთხმულს, წინ მიყვანია ქართული სუფრა მისის სასადილო სამკაულებით: ცხელ-ცხელი პურები, ცივი ღვინო, აქა-იქ ახირებულად მიყრილი მოყრილი მწვანელი, ახალი თევზი, მოთალი, ზედ ტარხუნით თავნახურული, საიდამაცის შერეული ძროხის მოსაკითხი ისე გამოიყურება, თითქოს პირს სიცილით ეუბნებოდეს: „გამიღე კარები, კბილები მიჩვენე“ და იმავ დროს მომუდღული ტარხუნაც ზევიდან დასწურულად დეს: „სად მიდისარ? ვერ გაგიქციო! და თავზე დაგანვეო! სადაც ჩახვალ, მეც მაშინვე იქა ვარ“ და სხვა. აი დრო, როდესაც ჩემს გულში იღვიძება პატრიოტული გრძობა და ჩემი ნაციონალური მადა კუჭში იდგამს სამეფო ტახტს! მაშინ მეც თავი მომონს ქართველობით!.. (ხადურის მადა ხომ არ გაგახსენდა, მკითხველო? — რედ.)

განა შემძლია შუშხუნა მწვადის ყურება ისე, რომ პირი პატრიოტული ნერწყვით არ მესვებოდეს? როდის გადამიკრავს კახური ღვინო ისე, რომ ჩვენის წინაპრების შესანდობარ არ ყოფილიყოს? ჯერ კიდევ შუა სამაიაც არა ვარ ხოლმე, რომ ჩემი ქვეყნის მტრები თვალწინ მელანდებიან და მაშინ მეც თავი ვეღარ შემომავრება, გაბრაზებული ზევით ჭერს ქუდასაც ვკრავ ხოლმე და ძირს სუფრაზე ნითელ ღვინოს ვანთხევ. დიხს!.. ამგვარად ხშირად

აღვძრულვარ, აღვშფოთებულვარ და მას, ვისაც შეუძლია სთქვას, რომ მე პატრიოტი არ ვიყო? არა თუ დღეს, როდესაც დიდი ბოლოა შევექმნილვარ, ადრე, ჭიაბაშიაც, გულით ვმამულიშვილობდი, თუმცა ამის გამოცხადებას კი სიტყვით ვერ ვებედავდი და საქმით ვერ ვახერხებდი. და ან კი რა გამოვიდოდა გამოცხადებით? პატარაობაში რა გასავალი ექნებოდა ჩემს სიტყვებს? და დღეს, დიდკაცობის დროს კი, აღარ შემფერის ამჩაბება!.. ახლა რომ პატრიოტულ ალიან-ჩალიანებს გამოვუდგე, არ იტყვიან: ე რა წვრილმანებს გამოსდგომაო? დიხს! იტყვიან და შემარცხვენენ!.. არა, არა!.. უფროდ არა ვარგა რა!..

მოვუცდი ისევ იმ დროს, როდესაც ეს ორივე, დიხს საფუძვლიანი და თავის გასამართლებელი, მიზეზი თავის თავად მოისპობა და მაშინ გამოვაჩენ ჩემს მამულიშვილობას!

მესაყვედურებინ: „თუ შენ პატრიოტი იყო, შენის ქვეყნის მზეთუნახავს არ დააგდებდი და სხვისას არ დაუნყებდი ტრფილსო!..“ მაგრამ სცდებინა!.. რა იციან, თუ ჩემ გულში რა არის? აქ ანგარიშია, და ანგარიშს ჭკვიანი როდის გაქცევია? ჩემის ქვეყნის მზეთუნახავი ღარიბია! თვითონ რა აქვს, რომ მე მარჩინოს? რა ჰქონია, რომ მე ჩამაცვას? რა შეუძლია, რომ გამაძლიეროს და თვითონ რა სახელგანთქმულია, რომ მე გამომაჩინოს? და უცხო ქვეყნის მზეთუნახავი კი ამავეს ყველაფრის შემძლებელია! აირისთვის ვეტრფი მას! და აი რად მიყვებო?

აბა, ამ ბედში ჩააგდეთ ჩემი ქვეყნის მზეთუნახავიც და მაშინ ნახავთ, თუ ვისმე დაგაცადეთ მისი ტრფობა! მამ, უსადღუოდლო ყოფილა საყვედური! დიხს, პატრიოტი ვარ, ვყოფილვარ და ვიქნები!.. ოღონდ თქვენ კი წინააღმდეგი მიზიკავებო!.. არ შეგიძლიათ? მამ რაღას მესაყვედურებთ? რაღას მთხოვთ, კოლო-ბუზებო?

რა გამოდის ამ თქვენის ბუზილით, კოლო-ბუზებო? და რას არიგებთ თქვენის იქა-აქ თრევით, ჭიანჭველებო! ეჰ, ვაი იმ დროს, როდესაც თქვენ გაჩენილხართ!.. თქვენ თქვენის უხერო საქციელით ჩვენ, ბოლოებს, მხოლოდ პატრიოტულ მადას გვიფუჭებთ!..

დღეს ხალხის „ბუზილი“ და „უხერო საქციელი“ ამა ქვეყნის ძლიერთა „პატრიოტულ მადას“ ველარაფერს აკლებს. ამიშინებულ მწვადის ყურებაზე ამათაც პირი „პატრიოტული ნერწყვით ეგსებათ“, კახური ღვინით წინაპრების შესანდობარს ესენიც სვამენ, მათ მიერვე შექმნილ მტრის ხატს მუშტს უღერებენ და კიდევ არ არიან პატრიოტები?! გაიგეთ, ხალხნო, დიდკაცებს „არ შეჰფერით ამჩაბება“!

ახლა რომ „პატრიოტულ ალიან-ჩალიანებს“ გამოუდგენ, არ ეტყვიან ამ ფინიებს ოკეანისგალმელი პატრონები: რა წვრილმანებს გამოსდგომისხართ?!

ვაი ჩვენი ბრალო! ვის სცალიან საპატრიოტოდ ან სადილამდე, ან ნასადილევს?! აი კიდევ ერთი წყველაკრულიანი საკითხავი.

ერთად აღმოსავლეთის ომებში

მეცხრამეტე საუკუნეში დიდი სახელმწიფოების ინტერესები ახალი ძალით დაუპირისპირდა ერთმანეთს. ამ დაპირისპირებაში ჩართული აღმოჩნდნენ დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი, ავსტრია, ირან-თურქეთი და სხვა ქვეყნები, რომლებიც თავიანთი მზარდი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ახალი გზების ძიებას შეუდგნენ. ამ თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანი იყო 1826 წელს გაჩაღებული რუსეთ-ირანის ომი, მაგრამ ისტორიული ქართული ტერიტორიების შემოერთების პროცესი უშუალოდ უკავშირდება რუსეთსა და თურქეთს შორის 1806-1812 და 1828-1829 წლებში წარმოებულ სამომაროპერაციებს. საქართველომ, მართლმადიდებელი რუსეთით ზურგამაგრებულმა, ოსმალს, თურქსა თუ სპარსს მწარედ აზღვევინა საუკუნეების განმავლობაში მიყენებული ზიანისთვის. აღმოსავლეთის ომებში რუსებმა და ქართველებმა ერთად არა ერთხელ დააჩოქეს მართლმადიდებლური სამყაროს დაუძინებელი მტრები.

გაბრძენილი. დასაწყისი №35 (411)

წერილი II თურქეთთან ომი

უმძიმესი ოსმალური უღელის სამასი წელიწადი ედგა სამცხე-ჯავახეთს, სრულიად მესხეთს, აჭარას. და იყო მარადიული ფიქრი, ნუხილი და ოცნება გათიშულ ღვიძლი ძმების ხელახალი გაერთიანებისა და გამთლიანებისთვის. 1806-1812 წლებში თურქეთთან ომში უშედეგოდ დასრულდა სადავო, თურქთა მიერ „ახალციხის საფაშოს“ სახელით მონათლული ართული მიწების შემოერთების მცდელობა.

რუსებმა და ქართველებმა იერიში მიიტანეს ახალციხეზე და 16 აგვისტოს აიღეს, ნახევარმთვარე ჩამოაგდეს და, მისი სანაცვლოდ, გამარჯვებულმა ქრისტიანებმა ჯვარიც აღმართეს. იყო ზეიმი და სიხარული, განსაკუთრებით ქართველთა გულში... ახალციხის შემდეგ გამარჯვებულებმა ზედიზედ გაათავისუფლეს არტაანი და აწყური.

რამდენიმე წლის შემდეგ, 1828 წლის 14 აპრილს ახალი ომი დაიწყო რუსეთსა და თურქეთს შორის. მისი ბალკანეთის მიმართულებით შეუტეეს რუსებმა; ივნისში ამიერკავკასიაში, სამხრეთ საქართველოში გაიხსნა ფრონტი. ყარსის ციხისკენ მიემართებოდნენ რუსული ლეგიონები. მოწინავეთა რიგებში კვლავ ქართველი მხედრები იყვნენ. სამდღიანი მძაფრი იერიშების შემდეგ, 1828 წლის 23 ივნისს, რუსებმა და ქართველებმა ყარსი აიღეს. გამარჯვებულებმა ციხე-ქალაქის დამცველი ემინ-ფაშა, თავისი შტაბით, ტყვედ აიყვანეს.

28 აგვისტოს ალექსანდრე ჭავჭავაძემ აიღო ბაიაზეთი და ბაიაზეთის მთელი საფაშო. ჯარების რჩენა მთელი სიმძიმით ქართველ ხალხს დაან-



ალექსანდრე ჭავჭავაძე აიღო ბაიაზეთი და ბაიაზეთის მთელი საფაშო

ახალციხისა და ქობულეთისკენ. მაშინ ქართველებმა საკუთარი ენთუზიაზმით ახალი ლაშქარი შეკრიბეს და მტერს გაეგებნენ. ორგან: ქობულეთის ახლოს — ლიბანთან და კინტრიმთან გურულებმა გმირობის სასწაულები აჩვენეს. ლიბანთან, 5 მარტს, 12 000 რუსის გვერდით 1300 ქართველი იბრძოდა. მათ ბრწყინვალე გამარჯვებით მოიპოვეს. 1829 წლის 27 ივნისს, თვით პასკევიჩის სარდლობით, რუსებმა და მართლმადიდებელმა აიღეს მცირე

აჭარა კვლავ ოსმალეთის ხელში ჩაიგდო. გესეს ისიც ვერ შეეტყო, რომ ზავი უკვე შეკრული იყო და 15 სექტემბერს ციხისძირთან გამართულ ბრძოლაში 650 მეგრძოლი ტყუილლურად შეაკლა მტერს. ზავი კი რუსეთსა და ოსმალეთის იმპერიას (თურქეთი) შორის 1829 წლის 14 სექტემბერს ქალაქ ადრიანოპოლში დაიდო, რომლითაც დამთავრდა რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომი. ადრიანოპოლის ხელშეკრულება ადასტურებდა თურქე-

1829 წლის 27 ივნისს რუსებმა და ქართველებმა აიღეს მცირე აზიის აღმოსავლეთი კარიბჭე — დიდი და კველი ციხე-ქალაქი არზრუმი

ვა მხრებზე. „თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართველმა ხალხმა, — წერდა რუსი პოეტი ალექსანდრე გრიბოედოვი, — 1826 წლიდან დღემდე (1828 წლის სექტემბრამდე) იმდენი პური, საქონელი და ა.შ. დახარჯა თავისი ქონებით, რაც თავისუფლად შეეძლო ერთ რუსეთის ყველაზე აყვავებულ ოლქს, რამდენადაც მოსახლეობითა და ტერიტორიის სიდიდით რუსეთის მხოლოდ სამი მაზრის ტოლია“. თეირანში გრიბოედოვის მკვლევლობამ და რუსეთ-სპარსეთის ურთიერთობაშია გართულებამ ოსმალეთს იმედი ჩაუწერა და გაათამაშა. ხონ-თქარმა 1829 წლის თებერვალში ახალი ჯარები დასძრა

აზიის აღმოსავლეთი კარიბჭე — დიდი და კველი ციხე-ქალაქი არზრუმი. ბიურთისა, გიუმისხანესი და უკვე ტრაპიზონისკენ სალაშქრო გზაზე შემდგარიყვნენ გამარჯვებულნი. 1829 წლის აგვისტოში ქართულმა ჯარებმა მწარე მარცხი აგემეს თურქებს მუხახეტატესა და კინტრიმთან. მუხახეტატესთან ქართველებმა და რუსებმა სრულად გაანადგურეს თურქთა მხედრობა. ახალციხისკენ წამოსული 20000-იანი თურქული არმიაც განადგურდა. ამასობაში გენერალმა გესემ გაილაშქრა ბათუმსა და აჭარაში ჩარჩენილ თურქთა წინააღმდეგ, მაგრამ მისი ეს „დამოუკიდებელი ნიაღვრვა“ უშედეგოდ დამთავრდა და

თის მთელ ტერიტორიაზე რუსეთის ქვეშევრდომთათვის თავისუფალი ვაჭრობის უფლებას, რუსეთის ქვეშევრდომებში თურქეთის ტერიტორიაზე სარგებლობდნენ სასამართლო იმუნიტეტით. ასევე, თურქეთი უზრუნველყოფდა რუსეთისა და უცხოური სავაჭრო გემების თავისუფალ გასვლას ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში. თურქეთმა 18 თვის განმავლობაში კონტრიბუციის ვალდებულება აიღო (1,5 მილიონი ჰოლანდიური მანეთი).

1829 წლის სამშვიდობო ხელშეკრულებით რუსეთმა თურქეთს წაართვა უძველესი ქართული ქალაქები ფოთი, ახალციხე და ახალქალაქი, ასევე ათი რაიონი სამცხე-საათაბაგოში: ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის, აწყურის, ხერთვისის, ქვაბლიანის, აბასთუმნის, ჩაჩარანის, ფოცხოვის და ჩალდირის. ეს მხოლოდ მცირე ნაწილი იყო იმ უზარმაზარი ქართული ტერიტორიისა, რომელიც თურქეთმა მიიღო XVI საუკუნეში.

1829 წლის აპრილში ქართულმა ჯარებმა მწარე მარცხი აგემეს თურქებს მუხახეტატესა და კინტრიმთან

განხილვა

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ სათანადო გეგმით ინვესტს უზრუნველსტური საქმიანობის მსურველ პირებს (შეიქმება იმის დამამთავრებელი კურსის სტუდენტის). მსურველებმა გამოვიგზავნეთ სივრცისამართვა: GAZETI2009@YAHOO.COM ან დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 591 882 104



ამერიკელმა პენსიონარმა ლას-ვეგასში 59 ადამიანი გამოასალმა სიხარულით, 500-ზე მეტი — დაჭრა

აშშ-ში კიდევ ერთი მსოფლიო მკვლელობა მოხდა — ამჯერად, მსხვერპლის მიხედვით, ყველაზე მრავალრიცხოვანი

1 ოქტომბერს აშშ-ის სათამაშო ბიზნესის დედაქალაქ ლას-ვეგასში 64 წლის მარტინო პენსიონერიმ სტივენ პედოკმა ავტომატური იარაღიდან ინტენსიური ცეცხლი გაუხსნა ქანთრის (მუსიკალური მიმდინარეობა) ფესტივალის სტუმრებსა და მონაწილეებს. 3 ოქტომბრის მონაცემებით, დაიღუპა 59 ადამიანი, დაიჭრა — 500-ზე მეტი. მოგვიანებით, როდესაც პოლიციამ სასტუმროს ნომერში შეჭრა სცადა, პედოკმა თავი მოიკლა. მომხდარზე პასუხისმგებლობა ტერორისტულმა ორგანიზაცია „ისლამურმა სახელმწიფომ“ დაიკისრა.



დღე ადამიანები მიწაზე ეცემოდნენ, ერთმანეთს ეჯახებოდნენ, ცოცხლები და მკვდრები ერთმანეთში აირივნენ. სროლა დაასრულეს 10-15 წუთს გაგრძელდა, — ამბობს

ერთ-ერთი თვითმხილველი. „32-ე სართულის სიმაღლიდან ქუჩაში მყოფი შეჯგუფებული ხალხისთვის ავტომატური იარაღიდან სროლა საშინლად მომაკვდინებელია. ასეთ შემთხვევებში ადამიანები ზევით არ იყურებიან. მკვლელისთვის საკმარისი იყო, თავშეყრის ადამიანების ჯგუფის ცენტრში დაემიზნებინა და ჩახახახისთვის ხელი დაეჭირა“, — განაცხადა ტელეკომპანია „სი-ენ-ენ“-ის სამხედრო ანალიტიკოსმა ჯიმიმ ბალინომ.

სტივენ პედოკმა ფესტივალის სტუმრებს სასტუმრო „მანდალა-ბეის“ 32-ე სართულიდან გაუხსნა ცეცხლი, როდესაც სცენაზე ცნობილი მომღერალი ჯეისონი იდლინი იდგა. ფესტივალის სტუმ-

რებს, თავდაპირველად, ეგონათ, რომ ვიღაც პეტარდებს ისროდა, მაგრამ, როდესაც ძირს დაგდებული გასისხლიანებული ადამიანები დაინახეს, ხალხი პანიკამ მოიცვა. „სროლის ატანვის შიშ-



„სროლის ატანვის შედეგად ადამიანები მიწაზე ეცემოდნენ, ერთმანეთს ეჯახებოდნენ, ცოცხლები და მკვდრები ერთმანეთში აირივნენ. სროლა დაასრულეს 10-15 წუთს გაგრძელდა“



ლას-ვეგასის პოლიციამ პედოკის სახლსა და სასტუმროს ნომერში, საერთო ჯამში, 42 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი იპოვა: 23 — სასტუმრო „მანდალა-ბეის“ ნომერში, 19 — სახლში, ქალაქ მესკიტში.

„სი-ენ-ენის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მკვლელის მამა ბენ-ჯამინ ჰოსკინს პედოკი აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს (ფბი) მიერ 10 ყველაზე საშიშ ძებნილთა სიაში იმყოფებოდა. ის გაიქცა ციხიდან, სადაც 20-წლიანი პატიმრობა უნდა მოეხადა ბანკის გაძარცვისთვის. გზის დახასიათებაში წერია, რომ ბენ-ჯამინ ჰოსკინს პედოკი ფსიქოპათია და მიდრეკილია თვითმკვლელობისკენ. მას 1969-1978 წლებში ემბედნენ.

სტივენ პედოკის ძმა, ერიკ-მა, „სი-ენ-ენს“ განუცხადა, რომ მამა რამდენიმე წლის წინათ გარდაეცვალათ. მან, აგრეთვე, განაცხადა, რომ სტივენს უყვარდა აზარტული თამაშები და ჰქონდა არაავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი. სტივენ პედოკი 6 წლის განმავლობაში იყო დაქორწინებული და ცოლს 27 წლის წინათ გაეყარა, ხოლო 62 წლის მერილუ დენლის, რომელიც 1 ოქტომბერს სტივენთან ერთად იმყოფებოდა ლას-ვეგასში, სტივენ პედოკთან ორი წლის ურთიერთობა აკავშირებდა.

ტელეარხ FoxBusiness-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სტივენ პედოკი აეროკოსმოსური კორპორაცია „ლოკჰიდ მარტინის“ თანამშრომელი იყო 1985-1988 წლებში. ტერორისტულ ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოსთან“ დაკავშირებულმა საინფორმაციო სააგენტო „ამაკმა“ კი გავრცელა ცნობა, რომ სტივენ პედოკმა რამდენიმე თვის წინათ მიიღო ისლამი და „ისლამური სახელმწიფოს“ მეთაურს — აბუ ბაქარ ელ-ბაღდადის — დაჰპირდა, რომ „ჯვაროსნების“ კოალიციის მოქალაქეებს შეუტევდა.

RIA Новости: ტრაგედია „ფეისბუქი“ და მსხვერპლი შეთქმულებაში დაადანაშაულა

Twitter-ში გამოქვეყნებული განცხადებით, აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა „ფეისბუქი“ და მედიის რიგი საშუალებებისა თავის წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებაში დაადანაშაულა.

„მაგრამ ხალხი ტრამპის მხარეს იყო. არსებითად არც ერთ პრეზიდენტს არ მიუღწევია იმისთვის, რასაც ჩვენ ცხრა თვის განმავლობაში მივალნით — და ეკონომიკა აღმავლობას განიცდის“, — განაცხადა ტრამპმა.

„ფეისბუქის“ დამფუძნებელმა აღიარა, რომ თანამშრომლობს ამერიკის ხელისუფლებასთან აშშ-ის არჩევნებში რუსეთის ჩარევის საქმის გამოძიებაში. მისი თქმით, სოციალური მედიის განმავლობაში გამოიძიებდა „რუსეთის ჩარევის“ კვლას. „მე არ მსურს, რომ ვინმემ გამოიყენოს ჩვენი შესაძლებლობანი დემოკრატიის საზიანოდ“, — განაცხადა მან. მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ ვერ შეძლეს ყალბი მასთან დაკავშირებული მტკიცებულებების მოპოვება. იმავე დღეს რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა, რომ მოსკოვს სოციალურ ქსელებში პოლიტიკური რეკლამა არასოდეს განუთავსებია.

ქველ-სახსართო პათოლოგიისა და განვითარების განხილვა

კოქსარტოზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპაროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციო სახსრებზე უახლესი მეთოდებით. ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტური გენეტიკური სიდაბლის დროსაც. გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მონესრიგებით, ქოლესტერინისგან განმედიტით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83 მის.: ნაჩითლის №142, I სართ. კაბინეტი №6. ქალაქი ქუთაისი

საქართველო და მსოფლიო ჟურნალი. პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება, ადამიანის უფლებები, ისტორია

http://www.geworld.ge. მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა. გზავთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6 ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

